

დღეღმას

№1, 2015



სამგაბი
111-3
ს ე ბ

ყრმაო

ყრმაო, რითი ხარ გართული?
 მშობელნიც რითი გართულან?
 ვინმე თუ უბნობს ქართულით,
 ვინმე თუ ფიქრობს ქართულად?
 რა ზღვა, რა მთები, რა ცა და
 რა მიწა გადანაცარდა?
 იქნებ, სატანამ გაგვოვალა,
 იქნებ, უნასმა* დაგვცადა?
 დედასამშობლო ვიქციეთ
 ავგულა დედინაცვლადა,
 მიტომაც აღარც მიწის ვართ,
 არ გვღებულობენ არც ცადა.
 სადა ვართ, საით ვეშურვით,
 არავის მოგვდის აზრადაც.
 სამშობლოს თუკი დაგვარგავთ
 არ მიგვესვლება აღარსად.
 კაცი თუ უსამშობლოა
 არა ღირს ჩირის ფასადაც...
 ყრმაო, რითი ხარ გართული
 ან სხვები რითი გართულან?
 შენი ღამაზი ქართულით
 ილაპარაკე ქართულად,
 წიგნი იკითხე ქართული,

ყრმაო, იფიქრე ქართულად
 და იაზროვნე ქართულად,
 მხოლოდ და მხოლოდ ქართულად!
 ადგე, განაძე მაცდური,
 სხვა ენა, სიტყვა საცთური.
 მხოლოდ და მხოლოდ ქართულით
 იქნები მხარგამართული...
 ეს ხომ ღმერთების ენაა –
 შენს გენში დაუნჯებული,
 თუ დაივიწყებ, ზენაარს
 რას ეტყვი დამუნჯებული?
 უმისოდ გონი მკედარია,
 უმისოდ სული არ ხარობს,
 მისით გეხსნება ფარული
 და იდუმალი სამყარო.
 შენს მითს და ლეგენდებშია
 აზრი ბრძენთა და აფქალთა*.
 კაცი მთესველი ცაშია
 მიწად რად ელის სამკალთა?..
 ყრმაო, იფიქრე ქართულად,
 იკითხე წიგნი ქართული,
 უპირველესად ქართული
 და...

მერე არაქართულიც.

მხატვარი მალხაზ კუნაშვილი



* უნასი – ავი, ბოროტი
 * აფქალი – ბრძენკაცი

სიკეთის მზე, ანუ პატარა ხოჭოს ნაამბობი



იცით, ვინა ვარ? – ერთი პატარა ხოჭო ვარ, ხუჭია მქვია.

დაბადებიდან ძალიან მშიშარა ვყოფილ-ვარ, სულ პატარა ხმაურზეც კი თვალებს ვხუჭავდი, ამიტომ დამარქვა დედამ ხუჭია. ყველა მეუბნება, ძალიან ლამაზი ხარო. მეც ვიცი, რადგან ხშირად დამინახავს ჩემი ანარეკლი ფოთოლზე შერჩენილი წვიმის წვეთების სარკეში: თავი ზურმუხტისფერი მაქვს, ზურგი კი – ყავისფრად დახოლილი.

დედა მეუბნება, ჯერ პატარა ხარ და უნდა დამიჯერო, უჩემოდ ნურსად გაფრინდები, თორემ რაიმე ხიფათს გადაეყრები და მერე შენს თავს დააბრალო. მე მაინც ჩემს ჭკუაზე მინდა ყველაფერი ვაკეთო: მარტომ ვიფრინო, საჭმელიც მარტომ ვიშოვო, ხან ერთ ფოთოლზე შემოვჯდე და ხან მეორეზე...

იცით, რა კარგია, ფოთლიდან ფოთოლზე მზის სხივებთან თამაში! ხან დავცურდები, ხან ავბობდები, მზის სხივები კი თვალებს მიკრავენ და დამალობანას მეთამაშებიან.

ყვავილებიც ძალიან მიყვარს. მათ საათობით ველაპარაკები, ისინიც მეჩურჩულებიან. აი, გუშინაც ერთმა გვირილამ რა მიამბო:

„ერთხელ შუადამით გამეღვიძა და რას ვხედავ: მიწიდან თავი ამოუყვია რუს თხუნელას, აცმაცუნებს ცხვირს, პარჭყავს ნიჩბისებურ თათებს და ყნოსავს ჰაერს. ძალიან სასაცილო იყო!

– რას ეძებ? ხომ არაფერი დაკარგე? – ვკითხე თხუნელას.

შეერთა, თავი აქეთ-იქით მიაბრუნ-მოაბრუნა და, რომ ვერ მიხვდა, ვინ ელაპარაკებოდა, მიწას ჩაუდუღუნა:

– ნეტა, შენ რა გაწუხებს?!

– მე? მე არაფერი, მაგრამ აი, შენ კი, მგონი, რაღაც გაწუხებს. არ მეტყვი?

ეტყობა, გული მოუღება და გამომიტყდა:

– მზის დანახვა მინდოდა და...

– შენ რა, მზეს ხედავ? – მართლა ალსან გამიკვირდა, რადგან ვიცოდი, რომ თხუნელები ვერ ხედავენ.

– ვხედავ, დიახაც, ვხედავ! აბა, მარტო შენთვის კი არ ათობს და ბრწყინავს მზე!.. ეტყობა, შევცდი... ახლა დამეა, არა? – თხუნელამ მოგრძო დრუნჩი ცისკენ აიშვირა.

მივხვდი, ეწყინა, და ბოდიში მოვუხადე:

– მაპატიე, არ მინდოდა შენი გულისტკენა! კი, ახლა შუადამეა, მხოლოდ მთვარე ანათებს...

– მთვარე ანათებს? მაშინ რატომ ვერ ვხედავ ან რატომ ვერ ვგრძნობ მის სითბოს?

– არ ვიცი, რატომ ვერ ხედავ, მაგრამ ის ვიცი, რომ მთვარეს სითბო არა აქვს.

– მაშინ რად მინდა მისი სინათლე?! თუ ანათებს, სითბოც უნდა ჰქონდეს!

– სინათლაც კარგია! აბა, სიბნელეში რას დავინახავთ? ამ სინათლესაც აქვს თავისებური სითბო.

– მე რომ ვერა ვგრძნობ? არააა, ვერც ამ



სინათლეს ვხედავ და ვერც მის სიბოლს ვგრძნობ. ჯობს, ისევ ჩემს სოროს დავუბრუნდე. ბევრი ჭიაყელა მოვიმარაგე, მაგრამ უქმად ყოფნა არ მიყვარს. რომ აცივდება, მერე ძნელია საკვების შოვნა. უფრო ღრმად მიწვეს მიწაში ძრომიალი... წავედი, წავედი, თუმცა, რომ არ ვიცი, შენ ვინ ხარ?

– მე გვირილა ვარ, ყვითელგულა.

– ჩემთვის რა მნიშვნელობა აქვს, რა ფერის გული გაქვს, მაინც ვერ ვხედავ... ნახვამდის, მზის ამოსვლამდე-ე!

წამდერებით დამემშვიდობა თხუნელა, ცხვირი გააცმაცუნა და ისე სწრაფად გაუჩინარდა, თვალშიც ვერ მოვკარი.

დიდხანს ვიფიქრე. შემეცოდა თხუნელა! ის ხომ მიწის წიაღში, სიბნელესა და სიცივეში ცხოვრობს! მაშინ მივხვდი, რა კარგია სინათლე, მზე, მთვარე და ვარსკვლავები, სიცხეში გრილი ნიაფი და ნამი!..“

ხომ ხედავთ, გვირილასაც ჰყვარებია მზის სხივები და სიბოლ.

მე კიდევ დიდხანს ვიჯექი მის ხასხასა ფოთოლზე, შემდეგ დავემშვიდობე, ფრთები ავიქნიე და დედისკენ გავეწიე.

ხანდახან ძალიან ვცეცქობ, განსაკუთრებით მაშინ, როცა დედა ჩემთან არის. ასე მგონია, რაკი ის გვერდით მყავს, ვერაფერი მომერევა და განსაცდელიც არ მემუქრება. არადა, რამდენი განსაცდელია ირგვლივ!..



ან ფრინველი ჩამიქროლებს, ან ადამიანი მომიქნევს ხელს, ამიტომ ყურადღებით უნდა ვიყო.

მართლაც, დედას ფხიზელი თვალი აქვს, სულ ოდნავი ხმაურიც კი არ გამოეპარება და მოსალოდნელ საფრთხეს წინასწარ გრძნობს. მაგრამ ხომ არსებობს მოულოდნელი განსაცდელებიც. სწორედ ასეთი რამ შეემთხვა მაშინ, როცა დედა გვერდით მყავდა:

ერთ მზიან დღეს ფოთლებზე ბზრიალ-ტრიალში თავი ვერ შევიმაგრე და მიწას ხურგით დავასკდი. კიდევ კარგი, ხურგით დავეცი, თორემ ხომ მომტყდებოდა ფეხები! მართალია, ფეხების მომტვრევას გადავურჩი, მაგრამ გადმობრუნება ვეღარ შევძელი. დედა სასწრაფოდ ჩემთან გაჩნდა და შეეცადა, გვერდი შეეშველებინა, გადმოტრიალებაში რომ დამხმარებოდა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. შევატყვე, შეშფოთდა, თუმცა არ დაიბნა, ბალახზე აცოცდა, ღეროს წვერისკენ დაჰყვა და ჩემკენ გადმოხარა. მე ავფართხალდი, მინდოდა, ბალახს მივახლოვებოდი, მაგრამ, პირიქით, უფრო დავცილდი.

აი, აქ მოხდა ის, რისიც ყველაზე ძალიან გვეშინოდა მე და დედას: ეტყობა, ჩემი ფართხალი შენიშნა პატარა ბიჭმა, რომელიც იქვე თამაშობდა, ჩვენკენ წამოვიდა და ჩემთან ჩაიმუხლა.

– დედა, მიშველევე! – ამოვიბზუილე და

შიშისგან თვალები დავხუჭე.

დედისგან ვიცოდი, რომ ადამიანები ძალიან დაუნდობლები არიან და, სადაც მოგვიხელთებენ, იქვე გვხოცავენ.

ცოტა ხნის შემდეგ მივხვდი, ჯერ კიდევ ცოცხალი ვიყავი და თვალები ოდნავ გავახილე. ძალიან ახლოს დავინახე ბიჭის სახე. ის ჩემკენ დახრილიყო და ყურადღებით მაკვირდებოდა. ახლა უკვე ნათლად გავარჩიე მისი დიდრონი თაფლისფერი თვალები და შუბლზე ჩამოშლილი ხვეული თმა. ისეთი სიბრალულთ მიყურებდა, მივხვდი, ბოროტი განზრახვა არ ჰქონდა და ოდნავ დავმშვიდდი.

– დე, დე, ნახე, პატარა ჭია, – იყვირა უცებ ბიჭმა.

მისმა ყვირილმა ისევ დამაფრთხო და ავწრიალდი, ავფართხალდი.

– ცოცხალი ყოფილა, დეე, ცოცხალიი!
– გაუხარდა ბიჭს.

მეც გული მომეცა – რადგან ჩემი გადარჩენა გაუხარდა, სასიკვდილოდ არ გამიმეტებს-მეთქი.

ახლა ახალგაზრდა ქალი დამადგა თავზე და დამაკვირდა.

– ეგ ჭია არ არის, დედიკო, ხოჭოა.

– რომელი, ჩვენი სახლის სარდაფში რომ არიან?

– არა, ისინი ტარაკებია, ეს კი პატარა ხოჭოა. შეიძლება, შენ და ის ტოლებიც კი ხართ. – გაულიმა დედამ და თავზე ხელი გადაუსვა.

– მართლა? ცოდოა, არა, დედიკო? – ახლა მეტი სიბრალული ჩაუდგა ბიჭს თვალებში და დედის პასუხს არც დალოდებია, რაღაცას დაუწყო ძებნა.

შეშინებულმა მივადევნე თვალი, ნეტავ, რას მიპირებს-მეთქი.

ბიჭმა იქვე ხის პატარა ტოტი შენიშნა, აიღო და ფეხებზე დამადო. მე, რაც ძალა და ღონე მქონდა, შემოვეხვიე ტოტს, ბიჭმა ასწია და, კოპ, წამში ფეხზე დავდექი. სიხარულთ არ ვიცოდი, რა გამეკეთებინა! ჯერ ფრთები შევისწორე, გაღიმებულ დედას გავხედე, ავბზუილდი, ავმღერდი, ავფრინდი ზევით და ბიჭს თავზე სამჯერ შემოვუფრინე.

– დეე, ნახე, მადლობას მიხდის!

– მიმიხვდა პატარა ბიჭი და გამიცინა.

მე მის თვალებში დიდი მზე დავინახე... გაოცებულმა ცას გავხედე. მზე ციდან დაგვეყურებდა, მაგრამ არ შემშლია: ბიჭის თვალებშიც ენთო ისეთივე მზე და ის მზეც სითბოს გამოსცემდა...

რა საოცარია სამყარო, არა?!

– დედა, შენ ხომ მეუბნებოდი, ადამიანები დაუნდობლები არიანო?! არ არის მართალი! ხედავ, კეთილი ადამიანებიც ყოფილან!



თანდაბი ხატავს

ხატავს, ხატავს ფანქარი:
ვოჭებს – ვაშლი ნაქარი.
ხალა თუ არ დაჰკარი,
ევაგს დარხება კაკალი.

ხან წვიმა, ხან თრთვილი,
ჩურჩხულები დათვლილი,
ხაბუდარში კრუსს ხატავს
ფანქარი წვერწათლილი.

მოვარდება ქაქანით,
მურიკელაც აქ არის.
ფანჯარასთან მიმსხდარან
ზაქარა და ბაქარი.

ესო-კარი მოვლილი,
და, რასაკვირველია,
ხვრელი ამოქოლილი
დახვდა მშიერ ძელიას.

მედიდური მამალი
დაბრძანდება ამქართ.
ხატავს, ხატავს ფანქარი
კედლის საათს ქანქართ.

არც ბებო დაავიწედა,
სკამზე თავჩაქინდრული.
სადაც არის, გუბები
ჩავარდება ეინული;



ცას ასწუდება ღილები —
თოვლის მსხვილი ფანტელი.
ველზე დავლურს დაუვლის
თეთრი კორიანტელი.

ვინ დარჩება მუნჯივით,
მელა იღბალს უჩივის.
თოვლის ჰაზას შემოაქვს
საახალწლო სურჯინი.

ეგულება თავუნას
განჯინაში შაქარი.
თავს იწონებს ენძელა —
განაფხულის დაქალი.

ენაცვლება ერთმანეთს
დაბლარი და მალღარი.
მინდორს წელზე ეხვევა
საჯუჯილე ნახნავი.

სამშობლოს სიუარულით
ნაკურთხი და გამთბარი,
ევავილებით იღვიძებს
საქართველოს მთა-ბარი.

ღელავს ბალახ-ბულახი,
არ გეგონოთ ზღაპარი,
ველზე გარბის ულაყი,
გამლილია ფაფარი.

ხატავს, ხატავს ფანქარი,
ჩემს სათქმელთან მიუვდი:
იმ ულაყზე ბიჭი ზის —
საქართველოს იმედი.

მხატვარი
ბიორგი ჩაჩანიძე



განათლება თუ არა, ჩვენ...

... არსებობს კოსმონავტი-მცენარე?

მართალია და მას საკმაოდ რთული სახელი აქვს – არაბიდოპსისი. კოსმოსში ის 1982 წელს „გაფრინდა“ ხომალდ „სალუტთან“ ერთად. არაბიდოპსისი პირველი მცენარეა, რომელმაც კოსმოსში იყვავილა და ნაყოფიც გამოლო.



... იხვი შეიძლება დაიხრჩოს?

მართალია. თუ იხვს რამდენიმე დღის განმავლობაში არ უცურავია, წყალში შესვლისთანავე იძირება და შეიძლება დაიხრჩოს კიდევ. იხვი იმიტომ ცურავს კარგად, რომ ბუმბულს საგულდაგულოდ უვლის – ყოველდღიურად იპოხავს ცხიმით. მოვლის გარეშე ბუმბული შრება და მტკვრევადი ხდება. ამ შემთხვევაში ბუმბული როგორც კი დასველდება, წყალს შეისრუტავს და იხვი ზედაპირზე გაჩერებას ვეღარ მოახერხებს.

... ციყვებს შეუძლიათ ხეების დარბვა?

შეუძლიათ, მაგრამ ასე გააზრებულად როდი იქცევიან. ციყვები ზამთრის მარაგისთვის დაახლოებით თვეში 1000 სამალავს აკეთებენ, სადაც რკოს, თხილსა და სხვა სასუსნავს ინახავენ. ეს სამალავები მინაშია. ციყვები მხოლოდ 500 სამალავს იყენებენ, დანარჩენში შენახული მარაგის შეჭმას ან ვერ ასწრებენ, ან ავიწყდებათ, სად შეინახეს. სწორედ მინაში ჩაფლული ამ სასუსნავისგან ამოდის დროთა განმავლობაში ახალი ხეები.



... არსებობენ სურნელოვანი პეპლები?

ბრაზილიაში ცხოვრობენ პეპლები, რომლებიც განსაკუთრებულ არომატს აფრქვევენ. იქაურებს პეპლები სახლში ჰყავთ, რათა ჰაერი სურნელოვანი იყოს.

... ენოტს უყვარს სისუფთავე?

ეს მართლაც ასეა. ენოტი მეტად სუფთა ცხოველია. რაც არ უნდა მშიერი იყოს, საჭმელს არ მიეკარება, ვიდრე არ „გაავლებს“ წყალში. თუ ახლომახლო წყალი არ არის და ძალიან შია, ის მსგავს მოძრაობას მაინც აკეთებს და წარმოსახვით რეცხავს საკვებს.



მხიარული მოთხრობები
ილია გუტმანის

"თუ შეიკლავა"

მადანიში შესულმა დათუნამ თავაზიანად ითხოვა:

– თუ შეიძლება, კანფეტი მომეცით.

გამყიდველმა ერთი ალმაცერად გახელა და ისევ თავის საქმეს მიუბრუნდა.

ბიჭი გაბრაზდა:

– დედამ მითხრა, როცა ასე ითხოვ, „თუ შეიძლებაო“, ყველაფერს მიიღებო.

– დედა მართალია, – დაეთანხმა გამყიდველი, – მაგრამ ამასთან ფულიც უნდა გადაიხადო.

სახლში დაბრუნებულ დათოს დედამ სთხოვა:

– შეიღო, თუ შეიძლება, კარი დახურე.

– არ დავხურავ.

– რატომ? მე ხომ გთხოვე, თუ შეიძლება-მეთქი.

– ეს არ არის საკმარისი, – შეეპასუხა ბიჭი,


– ამისთვის ფული უნდა გადაიხადო.



ნებისყოფა

არა, სეირნობის გუნებაზე არ იყო, მაგრამ ბიჭებმა დაუძახეს და ეზოში მხოლოდ მათი ხატრით ჩავიდა. არც ფეხბურთის სათამაშოდ მიუწვევდა გული, მაგრამ მეგობრებს ხომ არ აწყენინებდა და გახვითქულ თანატოლებს შეუერთდა. კანფეტი მიაწოდეს. არ უნდოდა, მაგრამ უარის თქმა მოერიდა, უხერხულიაო, იფიქრა.

და როცა ყველა მისი მეგობარი სახლისკენ გაემშურა გაკვეთილების მოსამზადებლად, თემომ, როგორც იქნა, ნებისყოფა გამოავლინა და ეზოში დარჩა სასეირნოდ.



კუჩიბული მხეცაღიგები

მხატვარი **პია ლაფაური**



– თინიკო, თინიკო, ეს გოგო ვიას დაა?
 – კი ჯემიკო, ნახევარი დაა.
 – როგორ თუ ნახევარი, შუაზეა გაჭრილი?
 – იკითხა გაკვირვებით პატარა ჯემიკომ.


– ბებია, რატომ მეძახის მასწავლებელი ბაღში თინათინს, შენ კი სახლში თინიკოს?



– შენ თინათინი გეკვია, მე თინიკოს მოფერებით გეძახი – უპასუხა ბებიამ.

– ბებია, ბებია, აბა გაბრაზებით როგორ დამიძახებ? – იკითხა პატარა თინიკომ.


ნიკამ სამსახურიდან დაბრუნებულ მამას ზღაპრის მოყოლა სთხოვა. მამამ ხელმწიფისა და მისი ვაჟის ამბის მოყოლა დაიწყო. თქვა, რომ ხელმწიფემ შვილს სთხოვა ისარი ისროლე და სადაც



დაეცემა ცოლიც იქიდან მოიყვანეო. ვაჟიც ასე მოიქცა.

– მამა, მამა მოიცადე, შენი გასროლილი ისარი დილომში დაეცა და დედა იქიდან იმიტომ მოიყვანე? – იკითხა ნიკამ.

თინათინე ორდენიკა



ამ ნახატებიდან რომელი ინყება ასო „ა“-ზე

მხატვარი
თამთა მამუკელაშვილი

მზია ჩხატინი

ხ ა თ უ ნ ა



ჭრაჭა-ჭრუჭი,
ჭრაჭა-ჭრუჭი,
ჭრაჭა-ჭრუჭი, – ჭრაჭუნა,
ახალთახალ ფეხსაცმელს
აჭრაჭუნებს ხათუნა.
ჭრელი ფისო შეაშინა,
გააღვიდა დათუნა,
კრუხი შვილებს აეფარა,
ფრთები ააფათქუნა.
ჭრაჭა-ჭრუჭი, ჭრაჭა-ჭრუჭი, –
მიდის, მოდის ჭრაჭუნით...
– მშვიდობაში, სიხარულში,
ეს ბაჩები, ხათუნი.

გივი ჩილვინაძე

ვითომ-ვითომ-ვითომ

რომ იცოდეთ, ჩვენი ნიკო
უკვე ზღაპრებს აღარ ითხოვს,
უცხო ამბებს ჰყვება თვითონ,
ჩვენც გვართობს და თავსაც ირთობს:
– ტყეში სოკოს ვაგროვებდი,
ვნადირობდი თანაც ხმლითო
და საღამოს დიდი დათვი
მოვიყვანე კალათითო.
იქა მყავდა მამლაყინნაც,
გაჰყოდა მთელი ხმითო,
მერე მანაც ივაჟკაცა:
დაიჭირა მელა ფრთითო.
ჩვენი მურას გმირულ ამბავს,
გაიოცებთ, აღარ მკითხოთ, –
ერთ ფერდობზე სამი მგელი
დაატყვევა ხაფანგითო...
– ნუ გვატყუებ, ბიჭო ნიკო,



აღარ მოგცემთ ნაბლს და თხილსო!..
– რად არ მომცემთ ნაბლს და თხილსო?
ეს ამბები მეტიც ღირსო.
ზღაპრად ვყვები, რასაც ვფიქრობ, –
ვითომ-ვითომ, ვითომ-ვითომ...

კუკუდამალოზანა

ეზოში ბავშვები გამოიშალნენ. მოიცათ, ახლავე ყველას სახელს მოგახსენებთ: უფროსს ირინე ჰქვია, მომდევნოებს – ნიკუშა, გიორგი, ლიზიკო და რუსუდანი.

სულ პატარა რუსუდანს ხელით ჩასჭიდებოდა ლიზიკო, ვაითუ, ნაიქცესო... აბა რა, პატარაა ჯერ.

აი, ბავშვებმა კუკუდამალოზანას თამაში გადაწყვიტეს. ჯერ გაიფანტნენ, მაგრამ ირინეს დაძახებაზე, მოდით, უნდა გავითვალო, ისევ შექუჩდნენ და დას მიაცქერდნენ. „ენკი, ბენკი, სიკლისა, ენკი, ბენკი, ბა, გავიდა“, – ხელი დაადო გულზე ნიკუშას ირინემ; მეორე გათვლაზე გიორგი გახტა, მერე – პანანა რუსუდანი და... ლიზიკოს მოუწია დახუჭვა.

„ხომ იცი, ლიზიკო, რაც უნდა ქნა? აი, იმ ხესთან მიდი, თვალეები დახუჭე, ზურგით დადექი და ჩვენ რომ „კუკუს“ გამოგდახებთ, საძებნელად წამოდი“. ლიზიკომ ენერგიულად დაიქნია თავი, რუსუდანის ხელი უფროს დას ჩაუდო ხელში და ხისკენ გაიქცა. თვალეებზე მკლავაფარებული შუბლით ხეს მიეყრდნო. ეტყობა, ხის დაშოშრილმა კანმა შუბლი ატკინა, ხელი მოისვა და ცოტა მოშორდა, მაგრამ... ერთი ცუნახით, რაღაც გამოედო ფეხებში. შეშინდა თუ არა ლიზიკო, არ ვიცი, მაგრამ სასწრაფოდ თვალი ქყიტა, დაბლა დაიხედა და რას ხედავს... ფეხებთან



სატკვირბარი

მაია ნიგნაძე

გაუმართავთ ცხოველებს
საკვირაო ბაზარი,

მოაგორეს ციუეებმა,
წაბლი უზარმაზარი.



ზღარბის მარწუვის მურაბა
მართლაც გემრიელია.

მაჩვი ეიდის ვაშლის ჩირს,
რკოს ახადებს მელია,





მხატვარი მალსაზ კუსაშვილი

ფუმფულა, ქათქათა, კუდაპრეხილი და ყურებდაც-ქვეტილი ცუგა ჩაცუცქულა.

ვაი, – შესძახა ლიზიკომ. ლეკვი ფეხებზე აეტოტა. გოგონა პატარა არსებას დასწვდა და გულში ჩაიკრა. ლეკვმა ლიზიკოს ლოყა გაულოკა, გოგონა აკისკისდა, უფრო მაგრად ჩაიკრა გულში და ისე დაუნყო რწევა, თითქოს აძინებდა.

ამ დროს ლიზიკოს და-ძმები იძახდნენ და იძახდნენ, კუკუ-კუკუო, მაგრამ ლიზიკო ისე იყო გართული თავისი მშვენიერი ლეკვით, არაფერი ესმოდა.

და-ძმებს სხვა რალა დარჩენოდათ, სამალავიდან გამოიშალნენ და გაშეშდნენ: ვინ წინ და ვინ უკან – გამოეჩანნენ ლიზიკოსკენ.

სწორედ ამ დროს ჭიშკარი ფართოდ შემოგლიჯა ოფლში განუნულმა, თმაანენილმა ბიჭუნამ და ყვირილით, ხელი გაუშვი, ჩემიაო, ლეკვისკენ გამოეჩანა.

ლიზიკო არც დაფიქრებულა, თვინიერად გაიშვირა მკლავები და ძვირფასი ცუგა ბიჭს გადასცა. მოსულს აღარაფერი უთქვამს, დიდი ნაბიჯებით, გაბრაზებული ბურდღუნით ღია ჭიშკარში გავიდა და უკანმოუხედავად მოკურცხლა.


სახტად დარჩენილი ბავშვები იდგნენ და დაცარიელებულ გზას გასცქეროდნენ.

ლიზიკომ არც აცია, არც აცხელა, თვალეები ისევ მაგრად დახუჭა, მკლავი აიფარა და ხეს შუბლით მიყრდნობილი და-ძმების „კუკუს“ მოლოდინში გაინაბა.

ბ ბ ბ ბ ბ ბ ბ



ტურა აქებს კოლოს ჯემს,
ჭარხალს ეიდის კურდღელი,



მხატვარი როინა შილაგია

დათვმა თაფლის ჭამისგან,
აიტკივა მუცელი.

უველაფერი გაუიდეს,
უველა ბედნიერი,
ცხოველების ნაშრომი,
მართლაც გემრიელია.



მიუჩინე მინის
ნამსხვრევებს
თავ-თავიანთი
ადგილი



მხატვარი
ლამა სულაკაური


იპოვეთ ძაღლის ზუსტი ჩრდილი




"დიდა"

„დიდა“, ჩვენო საყვარელო,
„დიდა“, ჩვენო მზიანო,
შენს ფიხურში გამოჩენას
ველით ყველა დიდხანსო.
ლამაზ-ლამაზ ნახატებით
და კოპნია ტექსტებით,
კარგი თავგადასავლებით
გაახარებ მკითხველსო.

მართა პატარიძე
130-ე საჯარო სკოლის
V კლასის მოსწავლე



„მაოხრებელი მკვდარი“. ილუსტრაცია



სულხან-საბა ორბელიანი

რაიო ჟიჯიუბაძე
13 წლის



1001 ნათურა

ირმა მაღაციქა

ჩრდილოეთის ერთ ლამაზ ქალაქში ზამთარი ადრე დგებოდა. დღე მოკლე იყო და მალე ბნელდებოდა. ქალაქი წყვედიადში რომ არ ჩაფლულიყო, ქუჩებში უამრავი ლამპიონი დადგეს, მაგრამ მხოლოდ ლამპიონები სიბნელეს ვერ ერეოდა, ამიტომ ადამიანებმა გადაწყვიტეს, თავადაც დახმარებოდნენ დღეს – ფანჯრის რაფაზე ყველამ პატარა, თეთრაბაჟურიანი ნათურა დადგა.

როგორც კი დაბინდებოდა და ქუჩებში ლამპიონებს აანთებდნენ, ქალაქის მკვიდრნი ნათურებსაც ანთებდნენ. კიაფობდა თეთრი ნათურები და ქუჩებს ანათებდა. თვითმფინავიდან რომ გადმოგეხედათ, ქალაქი ბრჭყვიალა ნაძვის ხეს მოგაგონებდათ.

ქალაქის ერთ-ერთ ქუჩაზე, მრავალსართულიანი სახლის ბოლო სართულზე, პატარა ბიჭი ცხოვრობდა. ბიჭუნას ძალიან უყვარდა განათებული სახლების თვალიერება – საათობით იჯდა სარკმელთან და ხან ერთ ფანჯარას შეხედავდა, ხან მეორეს. ფანჯრებში მოჩანდა აბაჟურიანი ნათურები, კამკამა სინათლეს რომ აფრქვევდნენ. ბიჭუნას ძალიან უნდოდა ენახა, რა ხდებოდა ფანჯრებს მიღმა, ვინ ცხოვრობდა ამ სახლებში, რაზე ფიქრობდნენ ეს ადამიანები, ბედნიერები იყვნენ თუ დამნუსრებული. ძალიან, ძალიან უნ-

დოდა, ყველა სახლში შესულიყო. ფიქრობდა, რომ იქ საოცარი და იღუმალი სამყარო იყო.

– იქ კარგია, სადაც ჩვენ არ ვართ, – ეუბნებოდა დედა. – არადა, შეიძლება, ვინმე პატარა ბიჭი თავის ოთახში ზის, შენს ფანჯარას უცქერის და იგივე ფიქრები უტრიალებს. იქნებ, სწორედ შენი სამყაროა უფრო თბილი და ლამაზი.

მაგრამ ბიჭს საკუთარ ოთახზე, საკუთარ სახლზე მეტად ის უცნობი სამყარო უფრო იზიდავდა და ხიბლავდა.

– მომბეზრდა ერთი და იმავე კედლების, ერთი და იმავე ნახატების ცქერა. იმ ფანჯარაში კი, ნახე, როგორი სიმყუდროვეა. ალბათ, იქ მრგვალი, ძველებური მაგიდის თავზე აბაჟური უკიდიათ. საღამოობით მთელი ოჯახი სუფრას შემოუსხდება, მურაბიან ჩაის მიირთმევენ და ტკბილად მუსაიფობენ, – ნუნუნებდა ბიჭი.

ისე გაიტაცა სხვათა ცხოვრებამ, რომ საკუთარზე აღარც ფიქრობდა. დღენიადაგ იჯდა და სახლებში მოციმციმე ნათურებს ათვალიერებდა.

ერთ საღამოს კარზე ზარის ხმა გაისმა. ზღურბლზე მოხუცი კაცი გამოჩნდა.

– მე ბაბუას მეგობარი ვარ, – უთხრა უცნობმა მოხუცმა.

ბიჭი შინ მარტო იყო. მოხუცი შემოიპატიჟა და ჩაი შესთავაზა. უკვე მოსალამოვებულიყო და სახლებში ნათურებს ანთებდნენ. ბიჭუნამ მზერა რამდენჯერმე გააპარა ფანჯრისკენ და განათებულ ქუჩებს გახედა.

- რაო, ბიჭუნა, მოგნონს განათებული სახლების ცქერა?

- კი, ძალიან, - უპასუხა დარცხვენილმა ბიჭმა, თითქოს დანაშაულზე წაასწრესო, - თქვენ საიდან იცით? - ჰკითხა გაცოცხლებლმა.

- ვიცი, მეც ვიყავი პატარა. მეც მიყვარდა შენსავით სარკმელთან ჯდომა და განათებული ფანჯრების ცქერა. მეგონა, რომ იქ უკეთესია, სადაც მე არ ვარ.

- დედაც სწორედ მაგას მეუბნება.

- დაიჯერე, მართალს გეუბნება. მიიხედ-მოიხედე, იქნებ სწორედ აქ არის შენი საოცნებო სახლი.


- მერე ნათურები? ძილის წინ ვითვლი-ხოლმე. უკვე 1001 დავითვალე. მოხუცს გაელიმა.

- მე გასწავლი, რა უნდა გააკეთო. ძილის წინ ვარსკვლავები დაითვალე. შეხედე, რამდენია. თან როგორ ბრწყინავს.

ბიჭი ფანჯარასთან მივიდა და ცას ახედა. ცაზე უამრავი ვარსკვლავი კიაფობდა. აქამდე ეს როგორ ვერ შევნიშნეო, გაიფიქრა და წამომდგარ მოხუცს თავაზიანად დაემშვიდობა, მერე თავის ოთახში შევიდა, სიყვარულით სავსე მზერა მოავლო კედლებს, ნივთებს, სანოლში ჩანვა და ფანჯარას გახედა - მასში ცის პატარა ნაგლეჯი მოჩანდა, რომელზეც ვარსკვლავები ციმციმებდნენ. ბიჭი ფიქრებში ჩაეფლო, მერე თვლა დაიწყო. ნელ-ნელა რული მოერიდა, ქუთუთოები დაუმიძიმდა და, სულ ათიოდე ვარსკვლავიც არ ჰქონდა დათვლილი, რომ ტკბილად ჩაეძინა. დაესიზმრა, თითქოს ცაზე პატარა თეთრი აბაჟურები ეკიდა, მათში კი ნათურების ნაცვლად ვარსკვლავები კამკამებდნენ.

მხატვარი **როენა ხელეზია**

ბეკეკა



ეს ბეკეკაა, მდელიზე რომ მობაკუნობს ახლა.
 – მდელი შორსაა სახლიდან?
 – არა, ახლოა სახლთან.

დელიკომ ყელზე შეაბა ბაფთით პატარა ზარი.
 სიარულისას ზარიდან ხმები მოისმის წყნარი:
 – მიყვარხარ, დეეე!
 აქა ვარ, ბეეე!

როცა ბეკეკა თამაშობს, დედა შინ მშვიდად არის,
 ესმის ზარის ხმა წკრიალა და იმეორებს ქარიც,
 ხეც იმეორებს, ყვავილიც, წყარო, ტბა, მთა და ბარიც:
 – მიყვარხარ, დეეე,
 აქა ვარ, ბეეე!

მაგრამ უეცრად ხმა შეწყდა. რა ხდება? შეერთა ქარიც,
 მთელ არემარეს მოავლო თავის ფხიზელი თვალი:
 ბეკეკოს თამაშ-თამაშში დაუკარგია ზარი.

ემუდარება ბეკეკა ყველას: – მიშველეთ რამე,
 მომაძებნინეთ, ის ზარი დედამ შემაბა ყელზე,
 არ დავეკარგო დელიკოს სადმე ტყეში ან ველზე.

ეძახის ჭიამაია: – მოდი, გიპოვე ზარი!
 მაგრამ შროშანი ყოფილა – ყვავილს არხევედა ქარი.

– ო, ეს რა უკრავს ბალახში? ნუთუ ზარია ჩემი?
 მივიდა. ხედავს, ჭრიჭინა მზის გულზე ზის და მღერის.

მერე წყლისაკენ გასწია, წყლიდან მოესმა ხმები.
 ისკუპა ერთმა ბაყაყმა, მე ამოგიტან ზარსო!
 მაგრამ ხმა წყლისა ყოფილა, ხმა თურმე წყალსაც აქვსო.

დაბაკუნობს და სლუკუნებს, მოსდის ცრემლები ღვარი.
 – იქნებ მერცხაღმა მომტაცა ჩემი პატარა ზარი?
 გაწყრა მერცხაღი, მე მაქვსო ჩემი ხმა, ჩემი ბგერა,
 რად მინდა შენი ეჟვანი, ჭიკჭიკით მიყვარს ფრენა.

უცებ სოროდან მოესმა ბეკეკას ზარის ხმები:
 თავეს უპოვია მინდორში, წამოუვლია თათი,
 შეუტანია სოროში, ზის და ერთობა დაკვრით.


ასე იპოვა ბეკეკამ თავის პატარა ზარი.
 ყელზე შეიბამს და ისევ ააწკრიალებს ქარი,
 ჰოდა, დელიკოც გაიგებს, ბეკეკა სადაც არის.

– მიყვარხარ, დეეე,
 აქა ვარ, ბეეეე!

თარგმანი – მარიამ წიკლაურის
 ბწკარედები პოლონურიდან – ნანიკო ბურდულის



ჩვენი ჩვენი სამშობლოსკენ ვბრუნდით...



გამარჯობა, მე ვარ ლაშა ბექაძე
 ილიანდელი ვარ, ვაწ 10 წლის,
 მშობლივან ილიანდაში რაზიბადე
 და აქ ვცხოვრობ, მამამ მე
 ქართველი ვარ, მყავს პატარა და
 გიჟი ბექაძე, ისიც აქ დაიბადა,
 ჩემი უფროსი ძმა ბექაძე
 ჰეობო რომ ჩამოყვანა ჩვენთან,
 სამივე აქ დადივართ სკოლაში
 და ყველაფერს ინგლისურად
 ვსწავლობთ, სასკოლო მამა გვიჩვენებს
 ინგლისურად ლაბარებს და
 ყველაფერი მხოლოდ ქართულად
 ვსწავლობთ, ბებო სამივეს სქელი
 ჰეველები გვიყიდა სადაც
 ქართული წიგნებიდან ლექსებს
 ვიწვით და მეზე ზეპირად
 ვსწავლობთ, ბებო გვემბება რომ
 ასე ქართულ წერა-კითხვას
 უფრო კარგად ვისწავლოთ მე 5

წლის ვიყავი როცა ბებო
 საქართველოში ჩამოვიყვანდა,
 ძალიან ბევრი რამა მანსა,
 მასოვს ყაზბეგში ძალიან მადლი
 ბიევი და ფოფესი, ბებო ხელ
 გვემბება რომ ჩვენ ქართველები
 ვართ, რომ ილიანდაში დროებით
 ვცხოვრობთ და ჩვენი სამშობლო
 საქართველოა, ყოველ საღამოს
 გვაკითხებს მამა ჩვენს და
 ზეპირად ვამბობთ ლექსებს
 საქართველოზე და საქართველოს
 პატრიარქზე ილიან მეო ჰეზე,
 ძალიან მომეწონა ჩემი სამშობლო,
 აქ ჩემს ქალაქში ქართველი
 ბავშვები არაიან და მიწა
 საქართველოშიც მყავდა
 მეგობრები, თუ ხევილი
 ვაჩინებდათ ჩემთან და მეგობრების
 ფისბუკზე შეგიძლიათ დამიკავშირდეთ,
 უზრატოდ ქართული ასოებით

მხატვარი
 მალხაზ კუსაშვილი

ჩვენსი

თ, ბე 8

ბე ,, 3

მარ ,, ს

კე ,, 9 3

თხილამურის ისტორია



გიცდია თხილამურზე დადგომა? ო, თუ უკვე პროფესიონალივით სრიალებ, ბოდიშს მოგიხდით გულუბრყვილო შეკითხვისთვის. აი, შენ კი, თუ ჯერ კიდევ არ დაშვებულხარ კობტაგორიდან, იქნებ სცადო, ეს ძალიან სასიამოვნო გასართობია. ეს ისე, რჩევის სახით, რადგან თხილამურს ძველებურად სასიცოცხლო მნიშვნელობა აღარ აქვს. შორეულ წარსულში კი, იმ ქვეყნებში, სადაც დიდი თოვლი იცოდა, თხილამურის მაგვარი აღჭურვილობის გარეშე კაცი ვერც საჭმლის მოპოვებას შეძლებდა, ვერც ნადირობას, ვერც ერთი დასახლებიდან მეორემდე მისვლას. ფიქრობენ, რომ თხილამურის ისტორია, სულ ცოტა, 20-30 ათას წელს ითვლის. მსოფლიოს ერთ კუთხეში თოვლზე სასრიალოდ მრგვალი ან მოგრძო ფორმის დაფებს იყენებდნენ, სხვაგან ფეხზე ტოტებისგან მოწნულ, ჩოგნის მსგავს თხილამურს იმაგრებდნენ. ყველაზე გავრცელებული, იაფი და ადვილად დასამზადებელი იყო, ე. წ. „შიშველი“ თხილამური. თუმცა, გაცილებით მოხერხებული იყო თხილამური, რომელსაც ქვედა ზედაპირზე ამოკრული ჰქონდა ლოსის, ხბოს ან თახვის ბალნიანი ტყავი. ბალანი მიმართული იყო ზევიდან ქვევით, რაც ზრდიდა მოჭიდების ძალას და აადვილებდა მთაში აღმართზე სიარულს.

თოვლზე საბიჯებელი თხილამურები გავრცელებული იყო საქართველოს მთისწინეთსა და მაღალმთიანეთში. ხევსურეთში უმთავრესად რკალისებურ თხილამურს იყენებდნენ, სამეგრელოში, სვანეთში, აფხაზეთსა და მთიულეთში — მრგვალს, ხოლო ქართლში, რაჭასა და აჭარაში — ელიფსურს. საქართველოში სხვადასხვა მხარეში შემორჩენილია თხილამურების ძველი სახელები: სვანეთში „ლაჩირხალალი“, თუშეთში „ქოკი“, მთიულეთში „კაგდი“.

XIX საუკუნის მიწურულსა და XX საუკუ-

ნის დასაწყისში თხილამური იმდენად პოპულარული და მოდური გახდა ევროპაში, რომ გაპრანჭული თავადები ხის ხელოსნებს თავიანთი ძაღლებისთვისაც კი უკვეთდნენ თოვლზე სასრიალო აღჭურვილობას, შეყვარებული ახალგაზრდები კი გულის სწორებს საჩუქრად უძღვნიდნენ თხილამურებს, რომელზეც ორი ადამიანი ერთად დგებოდა და სრიალებდა.

სულ მალე გაჩნდა სათხილამურო სპორტი, რომელიც გულისხმობდა თხილამურებით გადაადგილებას სისწრაფისთვის ან უბრალოდ სიამოვნების მისაღებად. შესაბამისად შეიცვალა თხილამურის პროპორცია: თხილამური დაგრძელდა და დავინროვდა (სიგრძე - 170-220 სმ. სიგანე — 5-8 სმ.), რამაც თხილამური უფრო სწრაფი გახადა. ამავე პერიოდში შექმნეს სათხილამურო ჯოხები, რაც ასევე ასწრაფებდა და აადვილებდა თხილამურებით გადაადგილებას. თანდათანობით თხილამური გადაიქცა სპორტულ ინვენტარად და მან მიიღო ჩვენთვის კარგად ცნობილი ფორმა.


რაც შეეხება ქართულ სახელწოდებას: ზოგიერთი გადმოცემის მიხედვით, პირველად გავრცელებული იყო სახელი „თხილიანი“ და არა „თხილამური“. რაც შეეხება სიტყვის დაბოლოებას „მური“, ის ჩვეულებრივ მურს უნდა ნიშნავდეს. უნდა ვიგულისხმოთ, რომ თხილის ტოტებისაგან დაწნული თოვლსაბიჯი ხშირად ცვდებოდა და იმტვრეოდა. დროთა განმავლობაში დაიწყეს მათი ცეცხლზე გამონვა, უფრო სწორად — გამურვა (სიმაგრისათვის), საიდანაც წარმოდგა თოვლსაბიჯი სახელწოდებით „თხილამური“.

უნდა ითქვას, რომ ქართულ მოკლე, მომრგვალო თოვლსაბიჯს — თხილამურს — ახლაც ფართოდ იყენებენ ნადირობის დროს და, საერთოდ, ყოფა-ცხოვრებაში საქართველოს მრავალ რაიონში.

კრისკოტი

ამ კროსვორდს მხოლოდ ის შეავსებს, ვინც ყურნალის ყველა გვერდს ყურადღებით წაიკითხავს.

1. ცხოველი, რომელიც ხეებს რგავს.
2. რა ჩაიკრა გულში ლიზიკომ?
3. თუშეთში თხილამურის ძველი სახელწოდება.
4. ვინ აჭრაჭუნებს ახალთახალ ფეხსაცმელებს?
5. რა ჰქვია პატარა ხოჭოს?
6. 1001 ცალი რა დათვალა ბიჭმა?
7. ვინ ყიდის საკვირაო ბაზარზე ჭარხალს?
8. ცხოველი, რომელიც გაურეცხავ საკვებს არ მიირთმევს.
9. რა მოაგროვეს ციყვებმა?
10. საბავშვო ყურნალი, რომლის გამოსვლასაც მართა სიხარულით ელის.
11. რა ეგულება თავუნას განჯინაში?
12. ვინ დაიჭირა მამლაყინწამ ფრთით?
13. რა ეწოდება „კოსმონავტ-მცენარეს“?
14. ადგილი, სადაც თავგმა ნაპოვნი ზარი დამალა.



**ლოგიკური
ბამოცანები**



ქეთო ბებოს ჰყავს შვილიშვილი მისო, კაღლი მურა და კატა ფაფო. რამდენი შვილიშვილი ჰყავს ქეთო ბებოს?

ყუთში 20 ქოქოსის კაკლი იყო. მაიმუნმა 7-ის გარდა ყველა შეჭაბა. რამდენი ქოქოსი დარჩა ყუთში?

საბა და ლუკა შაშს 2 საათის განმავლობაში თამაშობდნენ. რამდენ ხანს თამაშობდა თითოეული მათგანი?

მე ზურა მკვია. ჩემს დას მხოლოდ ერთი ძმა ჰყავს. რა ჰქვია ჩემი დის ძმას?



ანი ჩუბინიძე, 6 წლის

ბედება დაბნედა!



თაკო ნინიკაშვილი, 6 წლის

ნიკოლოზ ვაშაკიძე, 9 წლის



თეკლა განდიანიშვილი, 3 წლის



მთავარი რედაქტორი: ლოლო ნივნივაძე
ნახატი ყდაზე: ვაჟა ქურხულის
მის.: ზანდუკელის ქ. 1, ტელ.: 2 93 69 77
<http://www.dila.ge>, ელ-ფოსტა: dila1904@yahoo.com, facebook: საბავშვო გამომცემლობა დილა
ფასი: 2 ლარი